სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №1/150-2013

ქ. თბილისი **22 მაისი 2013წ.**

ერთი მხრივ,

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის პაატა ჩიქოვანის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,

შპს „კომპლექტი" (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონი, ხოშარაულისა და ელიავას ქუჩებს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის ნაკვეთი მაღ. #25/22, ს.კ. №401951410) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი სრესელის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი"

ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებილის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „ დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საჭიროებისათვის შემდეგი დასახელების საქნლის შედყიდვა:

	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	CPV
1	ხელთათმანი	50 ცალი	0,75	37,50	18424000
2	ლილვაკი 25 სმ	5 ცალი	10,00	50,00	39224210
3	ლილვაკი 20 სმ	15 ცალი	7.00	105,00	39224210
4	ლილვაკი 10სმ	10 ცალი	3,50	35,00	39224210
5	ლილვაკის დასამაგრებელი (პლასტმასის ჯოხი) 2მ.	5 ცალი	8,00	40,00	44425500
6	ვედრო 10 ლიტრიანი	5 ცალი	6,00	30,00	39224330
7	რესპირატორი (აირწინაღი)	5 ცალი	1,50	7,50	35814000
8	დამცავი სათვალე	5 ცალი	2,00	10,00	33735100
9	სამღებრო სკოჩი ქაღალდის 40მმ	10 ცალი	2,80	28,00	24911200
10	სამღებრო ფუნჯი 50მმ	5 ცალი	3,00	15,00	39224210

მუხლი 4. ხელშეკრულების განხორციელების ვადები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: შპს „საქართველოს აეოპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული შენობა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდვლის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო საქონლის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ ფაქტურა.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების"აეროპორტების ტექნიკური მონიტორინგის სამსახურის უფროსს ავთანდილ არჩუაძეს, რომლის უფლებამოსილებაა:

5.4.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

5.4.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში-ლარში .

6.2. საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტის გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი საქონელი;

7.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3.დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.1.5 შემსყიდველის შეტყობინება დააკმაყოფილოს არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7 .2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა უფლებები

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2 არ მიიღოს უხარისხო საქონელი.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.

10.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

10.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

10.4. თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება იმდენ ხანს, მაგრამ უწყვეტად არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომ მისი მიზეზით ვერშესრულებადი ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ინტერესს უკარგავს ამ ხელშეკრულების კვლავ არსებობას, ამ მეორე მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

10.5. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.2. გარდა 12.1. მუხლში მითითებული დღიური პირგასამტეხლოსი, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლ 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

მუხლი 15. გამოყენებული სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 16. დავა

16.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.5. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი -შემსყიდველთან.

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

`შემსყიდველი" **შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** მისამართი:იურიდიული მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტის დასახლება ს.კ № 404 389 693 ტელ.: +995 32 48 73 00 **საბანკო რეკვიზიტები:** სს "თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** 220 101 830 ა/ა: GE37TB7777736070100001 / GEL --- ბაატა ჩიქოვანი დირექტორის მოადგილე	"მიმწოდებელი" **შპს „კომპლექტი"** მისამართი:საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონი, ხოშარაულისა და ელიავას ქუჩებს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის ნაკვეთი მაღ. №25/22 ს.კ №401951410 ტ: 599 321 777 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE12PC05 1360 0100000995 /GEL --- გიორგი სრესელი დირექტორი